

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია


საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2023 წლის ანგარიში



შინაარსი

1. განხორციელებული ღონისძიებები.....	2-4
2. სტანდარტიზაცია	5-12
3. მეტროლოგია	13-20





1. განხორციელებული ღონისძიებები

- სააგენტოში მიმდინარეობს ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო /ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. პროექტს ახორციელებს იტალია-ესპანეთის კონსორციუმი, პროექტის ბიუჯეტი - 1 400 000 ევრო, პროექტის ხანგრძლივობა -24 თვე, პროექტი დაიწყო 2022 თებერვალი. 2023 წლის 10 თებერვალს ჩატარდა აღნიშნული პროექტის ე.წ „მმართველობითი კომიტეტის“ მე-4 შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო პროექტის მიმდინარე სტატუსი, შედეგები.
- 25 მაისს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ტვინინგ პროექტის ფარგლებში გაიმართა „ღია კარის დღე“. ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარის - ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სფეროს, მერგულირებელი ორგანოების, ლაბორატორიების წარმომადგენლებისთვის ადგილზე გაცნობოდნენ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სერვისებს, მიეღოთ დეტალური თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია ეროვნული სააგენტოს ექსპერტებისგან სხვადასხვა სფეროში: სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის: ელექტრობის, თერმომეტრიის, მასის, წნევის, რადიაციის, აკუსტიკის, გეომეტრიული გაზომვების, მექანიკისა და ფიზიკის. ღონისძიებას დაესწრო 70-მდე მოწვეული სტუმარი.
- გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) რეგიონალური პროექტის მხარდაჭერით 29 აპრილს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM), საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (MSA) წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიაში, რომელიც ჩატარდა 28-30 აპრილის უძრავი ქონების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, რომელიც გაიმართა ექსპოჯორჯიასა და საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის (GNARE) თანაორგანიზებით.
- 7 აგვისტოს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ უმასპინძლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში მოქმედ ინსტიტუტების წარმომადგენლებს და მიაწოდეს ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობისა და მიღწეული პროგრესის შესახებ.



- სააგენტო არის ევროპის მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციის EURAMET ასოცირებული წევრი 2022 წლის ნოემბრიდან. აღნიშნულ ორგანიზაციაში სრული ინტეგრაციისა და საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოების მიზნით სააგენტო 2023 წელს გეგმავს ე.წ „peer evaluation“ შეფასების ჩატარებას, რომელიც განხორციელდება EURAMET-ის ექსპერტების მიერ 2023 ივლისის თვეში ტვინინგ პროექტის მხარდაჭერით. შესაბამისი განაცხადი (EURAMET-ის პროექტის სახით) მომზადდა და დარეგისტრირდა EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტის (TC Quality) პროექტების ბაზაში. 2023 წლის 26 ივნისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გადაიგზავნა საჭირო დოკუმენტაცია (ხარისხის სახლემძღვანელო, ლაბორატორიული პროცედურები, დაკალიბრების პროცედურები) EURAMET-ის peer review-ის შემფასებელთა ჯგუფის ექსპერტებთან. 2023 წლის 7 ნოემბერს ამავე ორგანიზაციაში წარმატებით განხორციელდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის წარდგენა.
- 2023 წლის 7 - 10 ნოემბერს სააგენტოს განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესების მხარდასაჭერად ტვინინგის პროექტის ფარგლებში სააგენტოში ჩატარდა ტრენინგი ევროპული მეტროლოგიის პარტნიორობის (EMP) 2024 წლის პროექტების (Proposed Research Topics) გამოცხადების თაობაზე პრაქტიკული მხარდაჭერა შესაბამისი წინადადებების მომზადების, წარდგენის, მოლაპარაკებისა და მოხსენების მიზნით სადაც უცხოელ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.
- სააგენტოს EURAMET-ში ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის მიზნით მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობას ღებულობენ EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტების საქმიანობაში:
 - ✓ 28-30 მარტი - EURAMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრა (ონ-ლაინ მონაწილეობა);
 - ✓ 19-21 აპრილი - ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET-ის ტექნიკურ კომიტეტში „თერმომეტრია“, სლოვაკეთი, ე. ბრატისლავა;
 - ✓ 23-26 მაისი ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET-ის ტექნიკურ კომიტეტში „ელექტობა და მაგნეტიზმი“, ჩეხეთი, ე. ბრნო;
 - ✓ 30.05-01.06 სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ევროპული რეგიონალური ორგანიზაციის



EURAMET-ის გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ტალინში, ესტონეთი.

- ✓ 19.09-21.09 სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ევროპული რეგიონალური ორგანიზაცია EURAMET-ის ტექნიკური კომიტეტში „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“, რომელიც ფარავს ასევე წნევის მიმართულებას - გაიმართა ბრიუსელში (ბელგია).
 - ✓ 24-25 ოქტომბერს სააგენტოს მეტროლოგიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“-ის საკონტაქტო პირების შეხვედრაში, რომელიც გაიმართა ონლაინ რეჟიმში.
- 2023 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) გადაწყვეტილება საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის აფილირებული წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რაც იძლევა აღნიშნულ ორგანიზაციებში სააგენტოს უფრო მჭიდრო ინტერგაციის შესაძლებლობას.
 - 2023 წლის პირველი იანვრიდან სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სააგენტო მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს სთავაზობს საქართველოს სტანდარტებზე 10%-იან შეღავათს.



2. სტანდარტიზაცია

- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვან ვერსიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2023 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამის პირველი ნაწილი.
- მიმდინარეობს საქართველოს სტანდარტების მონაცემთა ბაზის განახლებისა და ევროპულ სტანდარტებთან შემდგომი ჰარმონიზაციის სამუშაოები.
- მიმდინარეობს სტანდარტიზაციის ეროვნული სტრატეგიით (NSS) გათვალისწინებული სტანდარტების მიღების პროცედურები, დასრულების ეტაპზეა სურსათის სფეროში სარკისებრი კომიტეტის შექმნის პროცედურები.
 - ✓ 2023 წლის 20-24 თებერვალი, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცედურების შემუშავება ISO 9001:2015-ის შესაბამისად;
 - ✓ 2023 წლის 28 თებერვალი - 2 მარტი, სტანდარტების თარგმნის, მიღების და ეროვნული სარკისებრი კომიტეტის (NMC) მართვის პროცედურები;
 - ✓ 2023 წლის 27-31 მარტი, ხარისხის მენეჯმენტის სიტემა და სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნები.12-18 მარტი, სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის სტანდარტების ეროვნულ (UNI) ორგანოში.
 - ✓ 3-5 აპრილი, შიდა პროცედურების შემუშავება ევროპული რეგულაციის EU 1025/2012 მოთხოვნების შესაბამისად;
 - ✓ 3-5 მაისს, 2023 სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტების ანალიზი და ტრენინგი სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის “CEPAS” აკრედიტაციის მქონე პროგრამის შესაბამისად;
 - ✓ 29 ივნისს, 2023, სააგენტოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის (NMC) ექსპერტებისთვის IT ინსტრუმენტები სტანდარტების შემუშავებისა და ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის (NMC-ის) საქმიანობისთვის“.
 - ✓ 31 ივლისი-5 აგვისტო, 2023, თარგმანის პროცესის განხორციელება მანქანური თარგმნის გამოყენებით.
 - ✓ 21 სექტემბერი, 2023 სათამაშოების სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „სათამაშოების სტანდარტები სათამაშოების წინასწარი შემოწმებები, ანალიტიკური მეთოდების (ფიზიკურ- მექანიკური და ქიმიური) თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“.

- ✓ 25-29 სექტემბერს, 2023 სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა “CEPAS” აკრედიტაციის მქონე პროგრამის ტრენინგი მეორე ეტაპი „ხარისხის მენეჯმენტის სიტემების წამყვანი აუდიტორები“, ასევე განხორციელდა ისო 9001 სტანდარტის შესაბამისად, შემუშავებული დოკუმენტაციისა და არსებული პროგრესის შეფასება.
- 2023 წლის 12-18 მარტს, Twinning“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის სტანდარტების ეროვნულ (UNI) ორგანოში, ხოლო 26 ნოემბერდან - 2 დეკემბრამდე ესპანეთის სტანდარტების ეროვნულ ორგანოში (UNI). ვიზიტების დროს სააგენტომ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი აღნიშნულ ორგანიზაციებთან.
- 30 მარტი, 2023 სააგენტოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) წევრების გადაწყვეტილების შესაბამისად, შეირჩა ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) „სტრუქტურული ევროკოდები“ საკისებრი კომიტეტის წევრები. ასევე განისაზღვრა აღნიშნული კომიტეტის შესაბამისი სამუშაო ჯგუფები: CEN/TC 250/SC 10; CEN/TC 250/SC 4; CEN/TC 250/SC 5 და CEN/TC 250/SC 7, რომელშიც სააგენტომ მიერ წარდგენილი ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობას.
- 25 – 26 მაისს, 2023 ქართულმა მხარემ პირველად მიიღო მონაწილეობა სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) შეხვედრასა და 24 მაისს ევროკოდებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.
- 21-22 ივნისს, 2023 სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების CEN/CENELEC გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ქ. ბელგრადში, სერბეთი.
- 18-22 სექტემბერს, სააგენტოს წარმომადგენლებმა „ონალიან“ ფორმატში მონაწილეობა მიიღეს ისო-ს გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ქ. ბრისბენში (ავსტრალია).
- 2023 წელს „Twinning პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ისო 9001:2015 შესაბამისად მენეჯმენტის სისტემის დანერგვისა და სერტიფიცირებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანო.
- 2023 წლის 4 კვარტლის მდგომარეობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 8 ნოტიფიკაცია საქართველოს სტანდარტების პროექტზე. კონსულტაცია გაეწია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, ასევე მიეწოდათ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტების სრული ტექსტები.



- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 9) „ტერმინოლოგია“ წევრების რეკომენდაციის საფუძველზე მიღებულ იქნება ისო 860:2007 „ტერმინოლოგიური სამუშაო - ცნებებისა და ტერმინების ჰარმონიზაცია“ ქართულენოვანი ვერსია.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ევროკოდი 7 „გეოტექნიკური დაპროექტება“, ევროკოდი 4 „ლითონისა და ბეტონის კომპოზიტური კონსტრუქციების დაპროექტება“ და ევროკოდი 5 „ხის კონსტრუქციების დაპროექტება“ და შესაბამისი ეროვნული დანართების განხილვის პროცედურები.
- დასრულდა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ევროკოდების: 7 „გეოტექნიკური დაპროექტება“, ევროკოდი 4 „ლითონისა და ბეტონის კომპოზიტური კონსტრუქციების დაპროექტება“ და ევროკოდი 5 „ხის კონსტრუქციების დაპროექტება“ და შესაბამისი ეროვნული დანართების განხილვა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ აღნიშნული ევროკოდები და მისი ეროვნული დანართები დარეგისტრირდა საქართველოს სტანდარტად და გამოქვეყნდა საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე.
- 2023 წელს სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების წევრი-ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები:

▪ სსტ ისო	860:2007/2023	ტერმინოლოგიური მუშაობა - ცნებათა და ტერმინთა შესაბამისობაში მოყვანა/ჰარმონიზება
▪ სსტ ისო	14644-1:2015/2023	სუფთა სათავსები და მათთან დაკავშირებული საკონტროლო არეები. ნაწილი 1: ჰაერის სისუფთავის კლასიფიკაცია ნაწილაკის კონცენტრაციის მიხედვით
▪ სსტ ენ	590:2022/2023	საავტომობილო საწვავი - დიზელი - მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები



- სსტ ისო 6887-5:2020/2023

სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - საკვლევი ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის - ნაწილი 5: სპეციალური წესები რძისა და რძის პროდუქტების მოსამზადებლად
- სსტ ისო 18593:2018/2023

სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - ჰორიზონტალური მეთოდი ზედაპირული სინჯებისათვის
- სსტ ისო 22964:2017/2023

სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - ჰორიზონტალური მეთოდი Cronobacter ssp-ს გამოვლენისათვის
- სსტ ისო 21148:2017/2023

კოსმეტიკა - მიკრობიოლოგია - საერთო მოთხოვნები მიკრობიოლოგიური გამოცდებისათვის
- სსტ ისო 21149:2017/2023

კოსმეტიკა - მიკრობიოლოგია“ - მეზოფილურ აერობული ბაქტერიების დათვლა
- სსტ ისო 21150:2015/2023

კოსმეტიკა - მიკრობიოლოგია“ – Escherichia coli-ს აღმოჩენა
- სსტ ისო 750:1998/2023

ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტები - ტიტრირებული მჟავიანობის განსაზღვრა
- სსტ ისო 21149:2017/ცვლილება 1:2022/2023

კოსმეტიკა - მიკრობიოლოგია - მეზოფილურ აერობულიბაქტერიების დათვლა და აღმოჩენა. ცვლილება 1
- სსტ ისო 21150:2015/ცვლილება 1:2022/2023

კოსმეტიკა - მიკრობიოლოგია - Escherichia coli-ს აღმოჩენა. ცვლილება 1
- სსტ ისო 4833-1:2013/ცვლილება 1:2022/2023

სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - მიკროორგანიზმების დათვლის ჰორიზონტალურ მეთოდი. ნაწილი 1: კოლონიების დათვლა ჯამზე 300 C



ტემპერატურაზე სიღრმივი დათესვის მეთოდით.
ცვლილება 1:სამუშაო მოცულობის დაზუსტება

- სსტ ისო 4833-
2:2013/ცვლილება
2:2022/2023


სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია -
მიკროორგანიზმების დათვლის ჰორიზონტალურ
მეთოდი. ნაწილი 2: კოლონიების დათვლა ჯამზე 300 C
ტემპერატურაზე ზედაპირული დათესვის მეთოდით.
ცვლილება 2:სამუშაო მოცულობის დაზუსტება
- სსტ ისო 6579-
1:2017/ცვლილება
1:2020/2023

სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - *Calmonella spp*-ს
გამოვლენა. ცვლილება 1: ინკუბაციის უფრო დიდი
დიაპაზონი. D დანართის სტატუსის ცვლილება, და
MSRV და SC შემადგენლობის კორექტირება
- სსტ ისო 6887-
3:2017/ცვლილება
1:2020/2023


სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია -საკვლევი
ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი
განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური
გამოკვლევისათვის -ნაწილი 3: სპეციფიკური წესები
თევზისა და თევზის პროდუქტების მომზადებისათვის
ცვლილება 1: ნიმუშების მომზადება ზღვის ნედლი
მუცლიანი ფეხმავლებისათვის
- სსტ ისო 7932:2004/ცვლილება
1:2020/2023

სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია -
სავარაუდო *Bacillus cereus*-ის რაოდენობის
განსაზღვრის ჰორიზონტალური მეთოდი -
კოლონიების დათვლისმეთოდი 300 C
ტემპერატურაზე. ცვლილება 1: ფაკულტატიური
გამოცდების ჩართვა
- სსტ ისო 11133:2014/ცვლილება
1:2018/2023

სურსათის, ცხოველთა საკვებისა და წყლის
მიკრობიოლოგია - საკვები არეების მომზადება,
წარმოება, შენახვა და სამუშაო მახასიათებლების
გამოცდა. ცვლილება 1





- სსტ ისო 11133:2014/ცვლილება 2:2020/2023 სურსათის, ცხოველთა საკვებისა და წყლის მიკრობიოლოგია - საკვები არეების მომზადება, წარმოება, შენახვა და სამუშაო მახასიათებლების გამოცდა. ცვლილება 2
- სსტ ისო 18513:2021/2023 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები სახელმძღვანელოები ტურისტული დაწესებულებებისათვის გარემოს დაცვის მოთხოვნების შემუშავების შესახებ
- სსტ ისო 13810:2022/2023 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - ვიზიტები ინდუსტრიულ, ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ ადგილებში - მოთხოვნები და რეკომენდაციები
- სსტ ისო 15189:2022/2023 სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენციის მიმართ
- სსტ ისო/იეკ 27001:2022/2023 ინფორმაციის უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება და კონფიდენციალობის დაცვა - ინფორმაციის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები





2023 წლის 12 თვის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 4 264 სტანდარტი, მათ შორის:


- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 22;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) -4215;
- ✓ სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური სტანდარტი)-1;
- ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი IDT) – 22;
- ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი IDT) - 1;
- ✓ სსტ ეროვნული - 3.





- 2023 წლის 12 თვის მდგომარეობით სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 690 სტანდარტი, მათ შორის 23 არის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულ ენოვანი ვერსიები.
 - ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 217;
 - ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 322;
 - ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი) - 83;
 - ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი) - 6;
 - ✓ ასტმ (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოება) - 16;
 - ✓ სსტ იეკ (ელექტროტექნიკური კომიტეტის სტანდარტი) - 4;
 - ✓ სსტ (ეროვნული) - 3.
 - ✓ გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 39.

დიაგრამა 2.



3. მეტეოლოგია

- მეტეოლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტეოლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 65 CMC ჩანაწერს.
- სააგენტოს მეტეოლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025:2017 მოთხოვნების შესაბამისად 2023 წლის 7 თებერვალს ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან; შეხვედრაზე შეჯამებულ იქნა 2022 წელი, ხარისხის მიზნების შესრულების სტატუსი, ეტალონების დაკალიბრების პროგრამა, განყოფილებების წლიური ანგარიშები, შესრულებული სამუშაოების ანალიზი. შეხვედრაზე ასევე განისაზღვრა 2023 წლის რისკების რეესტრი, წლიური შიდა აუდიტის გეგმა, მიზნები და პოლიტიკა ხარისხის სფეროში.
- სააგენტოს მეტეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები მეტეოლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ მიწვეული იქნენ წამყვან შემფასებლად და ტექნიკურ ექსპერტად COOMET-ის მიერ ორგანიზებულ თანასწორ ექსპერტთა შეფასებაში „peer evaluation“ სტანდარტის ISO/IEC 17025-ის შესაბამისად უზბეკეთის მეტეოლოგიის ეროვნული ინსტიტუტში (UzNIM, ქ. ტაშკენტი, უზბეკეთი, 6-9 მარტი 2023. ასევე მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის ტექნიკური კომიტეტის COOMET TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ სხდომაში, რომელიც ჩატარდა 2023 წლის 18 - 19 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში.
- ივლისისა და აგვისტოს თვეში სააგენტოს ხარისხის მენეჯერის მიერ ეტალონური ლაბორატორიების თანამშრომლების ჩართულობით განხორციელდა ხარისხის სისტემის მიმოხილვა, გარე შეფასებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, გარე შეფასების შედეგების განხილვა, მაკორექტირებელი გეგმის შედგენა, ჩანაწერების კონტროლი
- სტანდარტის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესრულების დემონსტრირების მიზნით, ასევე EURAMET-ის ექსპერტების მიერ 2023 ივლისის თვეში დაგეგმილი ე.წ. „peer evaluation“ შეფასებისათვის მომზადების მიზნით 2023 წლის 11; 15-19 მაისს ჩატარდა შიდა აუდიტი გეომეტრიული გაზომვების, ელექტროგაზომვების, მასის, ტემპერატურისა და ტენიანობის, რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებებში, ასევე ხარისხის მენეჯერის და სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების.



- EURAMET-ის „peer evaluation“სათვის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში 2023 წლის აპრილის თვიდან გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის PTB რეგიონალური პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა დისტანციური აუდიტი ექსპერტის მიერ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტროგაზომვების ეტალონურ განყოფილებაში.
- EURAMET-ის ექსპერტების (იტალიის და ესპანეთის მეტროლოგიური უწყებების წარმომადგენლები) მიერ 2023 წლის 24-27 ივლისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებებში (ელექტრობის, ტემპერატურისა და ტენიანობის, მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები) ჩატარდა შეფასება (Peer-review) ხარისხის სისტემის მუშაობის ISO/IEC 17025:2017-სტანდარტის მიხედვით. სამივე ეტალონურ ლაბორატორიებში შეფასდა გაზომვების მიმართულებები, შესაბამისი პროცედურები და სამუშაო ინსტრუქციები, ჩანაწერები, განყოფილების CMC-ჩანაწერები და ხარისხის სისტემის სხვა დოკუმენტაცია. შეფასებამ ჩაიარა წარმატებით.
- რეგულარულად ტარდება ხარისხის ჯგუფის შეხვედრები და შიდა ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორცაა შიდა აუდიტის ორგანიზება და ჩატარება, დაკალიბრების სერტიფიკატის ფორმის მოდიფიკაცია და შევსება, მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული რისკების განხილვა.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიები რეგულარულად უწევს დაკალიბრების მომსახურებას დამკვეთებს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გაზომვების სხვადასხვა სფეროებში, განსაკუთრებით CMC ჩანაწერებით დაფარულ აღიარებულ სფეროებში. 2023 წ. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურისა და ტენიანობის და ელექტრობის ეტალონური განყოფილებები დაკალიბრების მომსახურებას უწევს დამკვეთის თურქმენეთიდან.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობს ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმებები, პერსონალს შორის შედარებები.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებები აქტიურად მონაწილეობენ გაზომვის ეტალონების საერთაშორისო/რეგიონალურ და ორმხრივ შედარებებში შემდეგ სფეროებში: ელექტროგაზომვები, მასა (მცირე მოცულობა), ტემპერატურა, სიგრძე, ფიზ-ქიმიური გაზომვები. აღნიშნული პროცესი შეფერხებულია და გართულებულია ერთის მხრივ მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციაში ბრუნ-ში არსებული სიტუაციის გამო, რომელიც გამოწვეულია რუსეთის შეჭრის გამო უკრაინაში



2022 წელს და ასევე გამომდინარე იქიდან რომ ახალ რეგიონალურ ორგანიზაციაში EURAMET-ში სრულყოფილად ინტეგრაციას გარკვეული დრო სჭირდება.

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის განყოფილებების ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა 2023 წ. დასაკალიბრებელი ხელსაწყოების სიები/პროგრამები, გაანალიზდა და შეირჩა სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები - ჩეხეთი (CMI), თურქეთი (UME), პოლონეთი (GUM), იტალია (InRIM), ესპანეთი (CEM). 12 თვის მდგომარეობით დასრულდა ეტალონური ტვირთდგუშიანი მანომეტრის დაკალიბრების სამუშაოები ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CEM) ტვინინგ პროექტის ფარგლებში, დაკალიბრდა ხელსაწყოები მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით ჩეხეთში (CMI), თურქეთში (UME), პოლონეთში (GUM). Twinning“ პროექტის ფარგლებში გეომეტრიული და მასის ლაბორატორიის ხელსაწყოების გაგზავნილია დასაკალიბრებლად იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში(InRIM).
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2023 12 თვის განმავლობაში მომზადდა შესაძენი აღჭურვილობის სიები ტვინინგ პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით. მეტროლოგიის ინსტიტუტის ყველა ლაბორატორიისთვის შეძენილ იქნა გარემო პირობების (წნევის, ტემპერატურის, ტენიანობის) მონიტორინგის ლოგერები. ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის შეძენილია სტანდარტული ნიმუშები. ასევე მასის განყოფილებისათვის შეძენილ იქნა ტემპერატურისა და ტენიანობის მზომი ST9617 (SMART SENSOR) ლაბორატორიების ფარგლებს გარეთ დაკალიბრების დროს გარემო პირობების მონიტორინგისთვის, ტენიანობის ლაბორატორიისათვის სენსორები ტენიანობის მზომი ხელსაწყოებისათვის, შუქ-ფილტრები რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისათვის. ტექნიკური სპეციფიკაციები შესაბამისად შეძენილ იქნა ეტალონური პლატინის წინაღობის თერმომეტრი , რომლითაც სააგენტო გეგმავს საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობას EURAMET-ის ფარგლებში ტემპერატურული გაზომვების სფეროში 2024 წელს. რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა იონიზაციის კამერა.
- 2023 წლის 12 თვის განმავლობაში ტვინინგ პროექტის ფარგლებში იტალიელი და ესპანელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა შემდეგი სემინარები/ტრენინგები სტანდარტებისა და მეტროლოგიის სფეროებში:
მეტროლოგია:



- ✓ 23-27 იანვარი - მეტროლოგიის ინსტიტუტის აკუსტიკის ლაბორატორიის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (InRIM) შესაბამის ლაბორატორიაში.
- ✓ 8 თებერვალი, ტრენინგი ევროპულ დირექტივაზე 80/181/EEC, გაზომვის ერთეულებთან დაკავშირებით.
- ✓ 14-17 თებერვალს და 5-9 ივნისს იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (InRIM) ხარისხის მენეჯერის და ექსპერტის მიერ ჩატარდა მოსამზადებელი წინასწარი შეფასება/აუდიტი სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის სისტემის და ტექნიკურ ნაწილში ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების.
- ✓ 20-25 თებერვალი, მეტროლოგიის ინსტიტუტის წნევის ლაბორატორიის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (InRIM) შესაბამის ლაბორატორიაში.
- ✓ 29 მარტი, ტრენინგი EURAMET-ის წესები და პროცედურები, მოთხოვნები შეფასების პროცესის (peer evaluation) ორგანიზაციისა და შემფასებლების მიმართ.
- ✓ 22÷24 მაისი ტრენინგი/პილოტური შედარება ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტთან CEM - სპირტის შემცველობის განსაზღვრა სტანდარტულ ხსნარებში ალკოტესტერების გამოყენებით, ასევე განხილულ იქნა რეკომენდაციები OIML 126; (OIML 126-1;2;3) ,
- ✓ 23-25 მაისი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის მიერ ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი აკუსტიკური გაზომვების ლაბორატორიაში ISO 61672-3-ის და ISO 61672-1-ის მიხედვით ხმაურმზომის დაკალიბრებასთან დაკავშირებით.
- ✓ 05÷09 ივნისი ტრენინგი QMS დოკუმენტაციის მომზადება სტანდარტული ნიმუშების წარმოებისათვის EN ISO 17034:2016 მოთხოვნების შესაბამისად.
- ✓ 18-20 ივლისი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის მიერ ჩატარდა სწავლება წნევის სფეროში.
- ✓ 11-15 სექტემბერს გომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა ლაბორატორიის საქმიანობის წინასწარი აუდიტი საერთაშორისო ექსპერტის მიერ - INRIM (იტალია),
- ✓ 23-27 ოქტომბერს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეებისა და ფიზიკური ეტალონური განყოფილების თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ.მადრიდში ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CEM).



- 2023 წლის პირველ კვარტალში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლება მონაწილეობა მიიღეს BIPM CB&KT -ის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის გადაცემის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ონლაინ ტრენინგებში:
 - ✓ BIPM-ის ბაზების ახალი KCDB 2.0 ვერსიის პლატფორმის გამოყენებით KCDB 2.0 - Online technical exchanges – COMPARISONS/შედარებები - 08.02.2023 წელი
 - ✓ CMC ჩნაწერების ავტორების და რეცენზენტებისათვის BIPM-ის ბაზების ახალი KCDB 2.0 ვერსიის პლატფორმის გამოყენებით (Online technical exchanges - CMC Writers and Reviewers) – 2023 წ. 23 თებერვალი.
 - ✓ 12.04.2023 ვებინარი – “KCDB 2.0 - მუშაობის ზოგადი პრინციპების შესწავლა“ (“Training in the general principles of work with KCDB 2.0”);
 - ✓ 12 ოქტომბერი BIPM-ის ვებინარი „ციფრული მითითებები მეტროლოგიისთვის“.
 - ✓ 15.05.2023 “გლობალური კვების სისტემის მხარდამჭერი გაზომვები” (Measurements supporting the global food system– EURAMET).
- 2023 წლის 20-22 თებერვალს გემრანიის PTB-ისთან თანამშრომლობის პროექტის “CALIDENA” ფარგლებში ჩატარდა სემინარი „სენდვიჩ-პანელების ღირებულებათა ჯაჭვში ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება“.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წარედგინა (26.03.2023 წ.) წლიური ანგარიში (Annual Report of the IAEA/WHO SSDL Network for 2022). ამავე ორგანიზაციის ფარგლებში გამართულ სემინარში 29 მაისი - 2 ივნისის პერიოდში სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო „მეორადი სტანდარტების დოზიმეტრიის ლაბორატორიების (SSDL) და ხარისხის მართვის სისტემების (QMS) განვითარებისა და ტენდენციების შესახებ“
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ 2023 წ. 12 თვის მდგომარეობით დაკალიბრდა - 121 ხელსაწყო, მათ შორის დამკვეთისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან - 3 ხელსაწყო. ამავე პერიოდში ჩატარდა ნიმუშის რადიაციული კვლევა – 33 ნიმუში.
- 12 სექტემბერს რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილებების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ვებინარში - CCRI Webinar: 'Small field dosimetry for MRgRT.



- 28 ნოემბერს რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო CCRI ვებინარში თემაზე: "სინქროტრონის გამოსხივების სხივები: რადიოთერაპიის დოზიმეტრია და დეტექტორის პასუხი".
- 6 – 8 დეკემბრს რადიაციული მეტროლოგიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2024 წლის კვლევის პოტენციური პროექტების შესახებ გამართულ სწავლებაში - preparatory workshop: 2024 Call for Research Potential Projects (RPT).
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების მიერ 2023 წლის 12 თვის განმავლობაში ჩატარებულია 5 ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატის გამოცდა ფინანსთა მინისტრის № 994 ბრძანების: „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნების შესაბამისად.
- 25 ოქტომბერს გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) მიერ რეგიონალური პროექტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ სემინარი „გაციფრულება აკრედიტაციისა და მეტროლოგიის მიმართულებით“ მონაწილეობას ღებულობდნენ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლები, პრეზენტაცია წარადგინა მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურის და ტენიანობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა.
- 2023 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 9 ტიპი:
 1. ცივი წყლის მრიცხველი „KDM1, KDM2, KDM3, KDM4, KDM5, KDM6, KDM7, KDM8, KDM9, KDM10, KDM11, KDM12, KDM2-M1, KDM5-M1, KDM7-M1, KDM8-M1, KDM8-M2, KDM9-M1, KDM10-M1, KDM12-M1“, ფირმა „YAVUZ METAL SANAYI VE TICARET ANONIM SİRKETİ“ (თურქეთი);
 2. ერჭავლიანი ცივი და ცხელი წყლის მრიცხველი „KT11, KT12, KT13, KT14, KT15, KT16, KT17, KT18“, ფირმა „YAVUZ METAL SANAYI VE TICARET ANONIM SİRKETİ“ (თურქეთი);
 3. ალკომეტრი Tigon P-8800 (ამონასუნთ გაერში ალკოჰოლის განმსაზღვრელი ჩასაბერი მოწყობილობა) შპს “Arides” (სომხეთის რესპუბლიკა);
 4. ელექტრომაგნიტური წყლის მრიცხველი „EMDE“ ფირმა „BASS ÖLÇEME ENSTRÜMANLARI LTD ŞTİ“ (თურქეთი).





5. BSUF-TTCP“ ულტრაბგერითი წყლის მრიცხველი, ფირმა „BASS ÖLÇEME ENSTRÜMANLARI LTD ŞTİ“ (თურქეთი);
6. RSE / 1,2 LA; RSE / 2,4 LA; RS / 2001 LA; RS / 2001 AL; RS / 2,4; RSV / 2001 LA; RSV / 2,4; RSV / 1,2 LA; RSV / 2,4 LA; RSV / 1,2 LA N1; RSV / 2,4 LA N1; RSE / 2001 LA; RSE / 1,2 LA N1; RSE / 2,4; RSE / 2,4 LA N1; RSP / 1,2 LA; RSP / 2,4 LA; RSP / 1,2 LA N1; RSP / 2,4 LA N1“ აირის დიაფრაგმული მრიცხველები, ფირმა „Pietro Fiorentini S.p.A.“ (იტალია).
7. „CM...xxx“ ცივი და ცხელი წყლის მრიცხველი, ფირმა „Teksan Sayaç Teknolojileri Sanayi ve Ticaret Anonim Şirketi“ (თურქეთი);
8. МИРТЕК-32-KZ” ელექტრული ენერჯის სამფაზა მრავალფუნქციური მრიცხველი, ფირმა MIRTEK LLP (ყაზახეთის რესპუბლიკა);
9. „МИРТЕК-12-KZ” ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრავალფუნქციური მრიცხველი, ფირმა MIRTEK LLP (ყაზახეთის რესპუბლიკა).






სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები. 2023 წ. 12 თვის მდგომარეობით ჩატარებულია გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები სულ 182 117 ერთეული, მათ შორის:

- ✓ ელექტრო მრიცხველი - 24 032 ც.
- ✓ აირის მრიცხველი - 110 318 ც.
- ✓ წყლის მრიცხველი - 47 767 ც.

დიაგრამა 3.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.ge

www.sst.geostm.gov.ge